ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5310634

ნომერი: AR1805737

თარიღი : 23.02.2021

გაცემის თარიღი : 02.03.2021

გაცნობის თარიღი : 03.03.2021

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 25;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკო ნიკურაძე პ/ნ 01001092885
- საქართველო, ქალაქი თბილისი, გლდანის მასივი, V მიკრო/რაიონი, კორპუსი 8, ბინა 15

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) 2020 წლის 30 დეკემბრის №1885 ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 9 ოქტომბრის №5138711 გადაწყვეტილება; სამსახურს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევის შემდგომ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) 2020 წლის 30 დეკემბრის №1885 ბრძანების აღსრულების მიზნით ადმინისტრაციული წარმოება სამსახურს უკვე დაწყებული აქვს 2020 წლის 6 ოქტომბრის AR1778589 განცხადებით. სამსახურის 2021 წლის 18 თებერვლის #5265659 გადაწყვეტილებით დაგიდგინდათ გარკვეული სახის ხარვეზები და განგესაზღვრათ განახლებული დოკუმენტაციისა და ინფორმაციის წარმოსადგენად 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღე. შესაბამისად დამატებითი დოკუმენტაცია საჭიროა წარმოადგინოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით AR1778589 განცხადებაზე. დამატებით განგიმარტავთ, რომ მითითებულ ვადაში განახლებული დოკუმენტაციისა და ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვინაიდან სამსახურის მიერ მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელი სამუშაოები უკვე განიხილება 2020 წლის 6 ოქტომბრის AR1778589 განცხადებით 2021 წლის 23 თებერვლის AR1805737 განცხადება რჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.